მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო!

მინდა გითხრათ, რომ 2023 წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისათვის.

ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა.

ისტორიის ახალი ევროპული გვერდი დასტურია საქართველოსა და ევროკავშირს შორის მჭიდრო და პოზიტიური ურთიერთობისა, რაც ქვეყნის ხელმძღვანელობისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის ერთობლივმა ძალისხმევამ განაპირობა. ეს ფაქტი დიდ სიხარულთან ერთად დიდი პასუხისმგებლობაცაა. ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა მოქალაქეებთან ერთად გაორმაგებული საქმიანობით ხელს შევუწყობთ ქვეყნის წარმატებულ მომავალს. გილოცავთ ამ მიღწევას.

რაც შეეხება 2023 წელში გაწეულ მუშაობას, გარკვეული შედეგებით დავასრულეთ.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილია და მოქმედებს მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს საქმისწარმოების ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემა (MSD). არ ყოფილა საჯარო მოხელეების მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის ფაქტი. ჩატარდა საჯარო მოხელეთა საბოლოო შეფასება. ასევე ჩატარდა ორი ღია კონკურსი - ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტისა და საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობებზე. დასაქმდა ორი საჯარო მოხელე.

მომზადდა და საჯარო ბიუროში გადაიგზავნა 2023 წლის პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის შესაბამისად გადამზადდა 7 პროფესიული საჯარო მოხელე.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ აღძრულია 2 სამოქალაქო სარჩელი, სამშენებლო კომპანიების გადაუხდელი ჯარიმების შესახებ. მერია, როგორც მოპასუხე 6 ადმინისტრაციულ საქმეზე ღებულობდა მონაწილეობას სასამართლო პროცესებზე.

მერიის ინიციატივით საკრებულოს დასამტკიცებლად გადაეცა 31 დადგენილება და 48 განკარგულება.

კოორდინაციის განყოფილების მიერ მერის წარმომადგენლებთან ერთად სისტემატურად განიხილებოდა მნიშვნელოვანი საკითხები და ხდებოდა მათი რეაგირება. განყოფილების ორგანიზებით, მერის, მერის მოადგილეების და პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით, ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალ ყველა სოფელში (დასახლებებში) მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრებზე

განიხილებოდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 განკარგულების შესაბამისად), რომლის მიხედვითაც გამოყოფილი თანხა 580 000 ლარი გამოყენებული იქნა იმ პრიორიტეტების გათვალისწინებით, რაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილის მიერ იქნა არჩეული.

ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2023 წლის 25 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერის N ბ 64. 64230254 ბრძანებით და განისაზღვრა 1099361 ლარით. ცვლილებების განხორციელების შემდეგ კი შესყიდვების გეგმამ შეადგინა 10334310 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მერიის მიერ გამოცხადებული იქნა 57 ელექტრონული ტენდერი. აქედან: არ შედგა 7; უარყოფითი შედეგით დასრულდა 3; შეწყდა 3; გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 44 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო- სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებებით 2825194,00 ლარი.

*საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 623569,00 ლარი.

*საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გათვალისწინებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და მასალების შესყიდვის მიზნით, გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 987367,00 ლარი.

* გამარტივებული შესყიდვის წესით გაფორმდა 136 ხელშეკრულება. მათ შორის:

მონეტარული ზღვრების დაცვით საქონლისა და მომსახურების შესყიდვა ღირებულებით 139620,76 ლარი.

*სატენდერო კომისიის ნებართვების საფუძველზე საწვავის შესყიდვის მიზნით გაფორმდა 15 ხელშეკრულება ღირებულებით 128585,12 ლარი.

*გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს SMP მოდულის მეშვეობით მიღებული თანხმობის საფუძველზე გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით 961704,78 ლარი.

მათ შორის:

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში, უხვთოვლობისა და ძლიერი ქარის შედეგად ვანის მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზიანებული საცხოვრებელი სახლების შეკეთების მიზნით სამშენებლო მასალების და ქ. ვანში დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებამ შეადგინა 948970,00 ლარი.

სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში თოვლის საფარისაგან საავტომობილო გზების გაწმენდითი მომსახურების შესყიდვა 10 000 ლარი.

*კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 22 ხელშეკრულება ღირებულებით 1322157,16, 00 ლარი. აქედან: სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე 416456,19 ლარი.

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდამჭერთა განყოფილებაში შემოსული ყველა განცხადება რეაგირებულია. სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე მათ ეძლევათ როგორც ფულადი, ისე არაფულადი დახმარება. ფულადი დახმარება ბენეფიციარს ერიცხება საბანკო ანგარიშზე. სოციალური მუშაკის მიერ მათ ეწევათ სხვადასხვა სახის კონსულტაციები.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის და მერის ოფიციალური ფეისბუქ გვერდების, ასევე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდის „vani.gov.ge" -ის საშუალებით მოსახლეობას სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებებით გაწეული მუშაობის შესახებ.

საფინანსო-საბიუჯეტო

საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების მიერ მომზადდა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი. კანონმდებლობით განსაზღრულ ვადებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარედგინა 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების და სარეზერვო ფონდის ხარჯვის წლიური ანგარიშები, ასევე 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების 3 კვარტალური მიმოხილვა და სარეზერვო ფონდის ხარჯვის 3 კვარტალური ანგარიში. 7-ჯერ იქნა მომზადებული 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განყოფილებამ შესასასრულებლად მიიღო 1400 დავალება, მომზადდა 61 საპასუხო წერილი, ინიცირებული იქნა 15 სამართლებრივი აქტი.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ მომზადდა სხვადასხვა სახის ფინანსური დოკუმენტაცია და განსაზღვრულ ვადებში გადაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და ხაზინის ცენტრალურ ოფისს.

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 22 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N27 დადგენილებით. შემოსულობები განისაზღვრა - 11000,0 ათასი ლარით, გადასახდელები - 11300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება განისაზღვრა 300,0 ათასი ლარის ოდენობით. 2023 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შვიდჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 19576,2 ათასი ლარის, გადასახდელები 20847,8 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271,6 ათასი ლარის მოცულობით.

2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების წლიური გეგმა 19576,2 ათასი ლარით განისაზღვრა. ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 20593,4 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 105,2% -ს შეადგენდა.

გადასახადების 2023 წლის საპროგნოზო მოცულობა 9606,8 ათასი ლარით, განისაზღვრა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებულია 9805,8 ათასი ლარი რაც წლიური გეგმის 102,1 % -ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტების 2023 წლის გეგმა 9005,8 ათასი ლარით განისაზღვრა. მუნიციპალიტეტს ფაქტობრივად მიღებული აქვს 10005,8 ათასი ლარის მოცულობის გრანტი, წლიური გეგმა 111,1%-ით შესრულდა.

სხვა შემოსავლების წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 443,6 ათასი ლარით. მობილიზებულ იქნა 283,9 ათასი ლარი, გეგმა შესრულდა წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 64,0%-ით.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 12439,7 ათას ლარს შეადგენდა. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 12368,9 ათასი ლარი, რაც წლიურად დამტკიცებული გეგმიური მაჩვენებლის 99,4%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილების დამტკიცებული გეგმა 7832,5 ათასი ლარით განისაზღვრა. საკასო შესრულება კი იყო 7255,3 ათასი ლარი, გეგმიური მაჩვენებლის 92,6%.

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2023 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა განხორციელდა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 149,1 ათასი ლარი გამოიყო, საიდანაც საქონლისა და მომსახურების მუხლით 4,0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 143,2 ათასი ლარი, ხოლო სხვა ხარჯების მუხლით 1,9 ათასი ლარი მიიმართა.

ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების 2023 წლის გეგმიური მაჩვენებელი 20847,8 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 96,8%, 20177,7 ათასი ლარი შეადგინა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების (01 00) ხარჯების 2023 წლის ასიგნებების მოცულობა 4599,2 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯმა 4377,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 95,2%-ია.

ინფრასტრუქტურის განვითარების (02 00) 2023 წლის ასიგნებების მოცულობა 8112,4 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პეროიდში გაწეული ხარჯი 7684,3 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 94,7%-ია.

დასუფთავება და გარემოს დაცვის (03 00) პროგრამებზე 2023 წელს გეგმით 1061,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 1060,7 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 100,0%-ია.

განათლების სფეროს (04 00) 2023 წლის ასიგნებების მოცულობა 3160,8 ათასი ლარით დაიგეგმა. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი 3155,4 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 99,8%-ია.

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის სფეროს (05 00) საბიუჯეტო პროგრამების ჯამური საკასო ხარჯი 2182,9 ათასი ლარია, რაც წლიური გეგმის 2177,9 ათასი ლარის 99,8%-ს შეადგენს.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის (06 00) 2023 წლის ასიგნებების მოცულობა 1649,5 ათასი ლარით განისაზღვრა. საანგარიშო პეროიდში გაწეული ხარჯი 1640,4 ათასი ლარი იყო , რაც წლიური გეგმის 99,4%-ია.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის (07 00) პროგრამაზე 2023 წელს გეგმით 82,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივად 81,9 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 99,9%-ია.

ბიუჯეტის ასიგნებები
ეკონომკური კლასიფიკაციის მიხედვით

2023 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით შრომის ანაზღაურება 3219,4 ათასი ლარით განისაზღვრა, საკასო შესრულებამ წლიური გეგმის 99,8%, 3213,0 ათასი ლარი შეადგინა.

საქონელი და მომსახურების მუხლით 1651,8 ათასი ლარი მიიმართა, რაც წლიური გეგმის 1699,2 ათასი ლარის 97,2%-ია.

პროცენტის საკასო ხარჯი 20,3 ათასი ლარი იყო, წლიური გეგმის 20,4 ათასი ლარის 99,5%.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სუბსიდიები 5617,5 ათსი ლარით დაიგეგმა, საკასო შესრულებამ 5612,0 ათასი ლარი, წლიური გეგმის 99,9% შეადგინა.

გრანტების წლიური გეგმა და საკასო ხარჯი შეადგენდა 16,3 ათას ლარს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 945,2 ათასი ლარი მიიმართა, წლიური გეგმის 949,4 ათასი ლარის 99,6 %.

სხვა ხარჯების წლიურმა გეგმამ 917,5 ათას ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა 910,3 ათასი ლარი შეადგინა.

8352,5 ათასი ლარით განისაზღვრა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი, საკასო ხარჯი 7753,2 ათასი ლარი იყო , წლიური გეგმის 92,8%.

ვალდებულებების კლება როგორც გეგმით, ასევე ფაქტიურად 55,6 ათას ლარს შეადგენდა.

ქონება

1.ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურმა 2023 წელს განახორციელა 7 (შვიდი) ერთეული უძრავი ნივთის პრივატიზება.

1.1 ქ. ვანში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე 8320 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ს/კ 31.01.24.207). ჯამში საბოლოო საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა 256000 (ორას ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარი;

2.1 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზედა ვანში მდებარე 114 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (დემონტაჟი) (ს/კ 31.02.22.078). საპრივატიზებო ღირებულებამ შეადგინა 170 (ას სამოცდაათი) ლარი;

3.1 ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 26 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.524). საპრივატიზებო ღირებულებამ შეაგინა 1050 (ათას ორმოცდაათი) ლარი;

4.1 ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 29 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.522). საპრივატიზებო ღირებულებამ შეაგინა 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი.

5.1 ქ. ვანში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 7 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.25.254). საპრივატიზებო ღირებულებამ შეაგინა 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი.

6.1 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ამაღლებაში მდებარე 18210 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.13.24.248). საპრივატიზებო ღირებულებამ შეაგინა 15100 (თხუთმეტი ათას ასი) ლარი.

7.1 ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 18 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. საპრივატიზებო ღირებულებამ შეაგინა 850 (რვაას ორმოცდაათი) ლარი.

ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატიზებიდან სულ შემოვიდა 273 970 (ორას სამოცდაცამეტი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარი.

2. სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გაიცა 3 (სამი) ერთეული უძრავი ნივთი.

2.1 5 (ხუთი) წლის ვადით ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ამაღლებაში მდებარე ადმინისტრაციული შენობის (მიწის (უძრავი ქონების ს/კ 31.13.23.237)) მეორე სართულზე არსებული 14 კვმ ფართი. წლიური საიჯარო ქირის ღირებულებამ შეადგინა 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი.

2.2 5 (ხუთი) წლის ვადით ქალაქ ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 16 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სკვერი (ს/კ 31.01.26.426). წლიური საიჯარო ქირის ღირებულებამ შეადგინა 1300 (ათას სამასი) ლარი.

2.3 5 (ხუთი) წლის ვადით ქალაქ ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 16 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სკვერი (ს/კ 31.01.26.426). წლიური საიჯარო ქირის ღირებულებამ შეადგინა 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი.

4.სამსახურის მიერ მომზადდა „giz”-ის საგრანტო პროექტი - „ტურისტული ზონა მშვიდობის გორაზე“, რომლის ღირებულება იყო 430 000 ლარი. საკონკურსო პროექტი შეესაბამებოდა “GESL”-ის პრიორიტეტებს - „ტურიზმის განვითარება“-სა და „ადგილობრივ ეკონომიკურ ხელშეწყობას“.

5.სამსახურმა მონაწილეობა მიიღო გერმანიის საეთაშორისო საზოგადოების (giz) მიერ მ ოწყობილ შეხვედრებში:
„შემაერთებელი ქალაქების დიალოგი - განახლებადი ენერგიის ვარიანტები მუნიციპალ ურ დონეზე“, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს, გერმანიისა და აღმოსავლეთ ევრ ოპის ქვეყნების რამდენიმე მუნიციპალიტეტი.

6. სამსახურის უშუალო ჩართულობითა და ორგანიზებით ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს სოლიდარობის ფონდ პლ საქართველოსა და ვანის მუნიციპალიტეტს შორის, რომლის განხილვის თემაა „დაბალშემოსავლიანი თვითმმართველობები ენერგოეფექტიანობისაკენ მიმავალ გზაზე“.

7. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ, „მოხელის მენეჯერულ უნარებში“ გადამზადდა და სერთიფიცირებულია სამსახურის 2 თანამშრომელი.

8.დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალო ვადიანი დოკუმენტის შედგენაზე.

ინფრასტრუქტურა - ზედამხედველობა

ვანის მუნიციპალიტეტში 2023 წლის განმავლობაში ინფრასტრუქტურის მოვლა-განახლებისათვის სხვადასხვა ფონდების მიერ დაფინანსებულია 217 პროექტი, რომელიც მოიცავდა 226 ლოკაციას. დაფინანსება განისაზღვრა 7 637 597 ლარით. გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 7 538 205 ლარი. პროექტები დაფინანსების და კატეგორიების მიხედვით დაჯგუფდა 6 პროგრამად. კერძოდ:

1. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდით დაფინანსდა 16 პროექტი, 25 ლოკაცია. სამუშაოთა განხორციელებისთვის გამოყოფილია 5 240 967 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 5 237 749 ლარზე. პროგრამა ძირითადად მიიმართა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე. განხორციელდა ერთი პროექტი წყალმომარაგების რეაბილიტაციაზე, გარდამავალი ორწლიანი პროექტი. პროექტები დასრულებულია. სულ რეაბილიტირებული იქნა 19,4 კილომეტრი შიდა სასოფლო და საუბნო საავტომობილო გზა.
2. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წინა წლებში გამოყოფილი თანხიდან მიღებული ეკონომიებით (172 000 ლარი) რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 3 პროექტი, სახელშეკრულებო ღირებულებით 164 500 ლარი, სამუშაოები დასრულებულია.

3. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაზე გამოიყო 1 335 000 ლარი, დაემატა სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაზე გამოყოფილი თანხიდან მიღებული ეკონომია 16692 ლარი. სულ 1 351 692 ლარი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 117 ლოკაცია.
4. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოსახლეობაზე მინიჭებული უფლების მიხედვით მუნიციპალიტეტის სოფლის მცხოვრებთა მიერ შერჩეული პროექტების რიცხვი დაჯგუფდა და გაერთიანდა 77 პროექტში. პროგრამა დაფინანსდა 580 000 ლარით. თანადაფინანსების ფარგლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან და ეკონომიებიდან გამოყოფილია 82700 ლარი. საერთო ჯამი 662 700 ლარი. დაკონტრაქტდა 77 პროექტი ღირებულებით 618 451 ლარი. დასრულებულია სრულად 77 პროექტი.
5. სკოლების მცირე რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 1 საჯარო სკოლა, განსაზღვრული იყო 141 228 ლარის სამუშაოების განხორციელება. ხელშეკრულება გაფორმდა 113032 ლარზე. პროექტი დასრულებულია.
6. ადგილობრივი სახელმწიფო ბიუჯეტით გამოიყო 69 010 ლარი, დაფინანსდა 3 პროექტი სახელშეკრულებო ღირებულება 64 844 ლარი. პროექტები დასრულდა.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პარალელურად სამსახური მუშაობს მერიის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული სხვადასხვა პროგრამების მიხედვით შემოსული განცხადებების მომსახურებაზე.

1. საანგარიშო წელს დაზიანებული საცხოვრებელი სახლის თაობაზე სამსახურმა შეისწავლა მოქალაქეთა 124 განცხადება. მათგან: ფინანსური დახმარება გაეწია 30 ოჯახს თანხით 50 000 ლარი; 32 ოჯახს მიენიჭა სათანადო კატეგორია და შუამდგომლობა გაეწია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლების და ლტოლვილთა სამინისტროში, გეოლოგიურ შესწავლაზე ჩაინიშნა და შესწავლილი იქნა 62 ოჯახი.
2. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო მშენებლობის განხორციელებისათვის მომზადდა და შესაბამისი წესის მიხედვით გაიცა შეთანხმების 9 წერილი და 33 სანებართვო მოწმობა.

წლის ბოლოს დაიგეგმა და მიმდინარეობს ქალაქ ვანისა (3 ლოკაცია) და დიხაშხოს ტერიტორიებზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია; ქალაქ ვანის N2 საბავშვო ბაღის შემოღობვითი სამუშაოები; მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების მიმდინარე შეკეთება და გაწმენდითი სამუშაოები.

ფაქტიურად ზედამხედველობის სამსახურის დასკვნით, ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, სრულად იქნა ათვისებული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილი თანხები.

დაკისრებული პირგასამტეხლოს სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 21 774 ლარი.

დასუფთავების მოსაკრებელის სახით კი ბიუჯეტში დაფიქსირდა 24 194 ლარი.

სოციალური

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N30 დადგენილებით 2023 წლისათვის დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 15 სოციალური პროგრამა, რომლის ბიუჯეტი თავდაპირველად განისაზღვრა 843 400 ლარით, განხორციელებული კორექტირების შემდეგ წლიური ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრა 830 500 ლარით. დამტკიცებული პროგრამებით განსაზღვრული თანხების განაწილების მიზნით, საანგარიშო პერიოდში, სამსახურის ინიციატივით მომზადდა და გამოიცა ვანის მუნიციპალიტეტის მერის 45 ბრძანება.

საბიუჯეტო სახსრები პროგრამების მიხედვით განაწილდა შემდეგნაირად:

1. ახალშობილთა ოჯახების დახმარება - წლიური ბიუჯეტი 62 000 ლარი. დაკმაყოფილდა 180 ბენეფიციარი, თანხით 61 830ლარი;
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება - წლიური ბიუჯეტი 29 000. დაკმაყოფილდა 68 ოჯახი, თანხით 29 000 ლარი;
3. სამედიცინო დახმარება - წლიური ბიუჯეტი - 374 500 ლარი. დაკმაყოფილდა 905 ბენეფიციარი, თანხით 374 423 ლარი;
4. ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარება - წლიური ბიუჯეტი 108 500 ლარი. პროგრამით ისარგებლა 93-მაბენეფიციარმა, გახარჯულია 108 450 ლარი;
5. შ.შ.მ. პირთა დახმარება - წლიური ბიუჯეტი 53 800 ლარი. დაკმაყოფილდა187 ბენეფიციარი, თანხით 53 750 ლარი;
6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა - წლიური ბიუჯეტი 53 400 ლარი. ყოველდღიური უფასო სასადილოთი სარგებლობდა 25 ბენეფიციარი. პროგრამის ფარგლებში სააღდგომოდ და საახალწლოდ დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ ან/და განსაკუთრებული საჭიროების მქონე 100-100 ოჯახს. საანგარიშო პერიოდში გახარჯულია 50 173 ლარი;
7. სტიქიით დაზარალებულთა დახმარება - წლიური ბიუჯეტი 50 000 ლარი. დაკმაყოფილდა30 ბენეფიციარი, თანხით 50 000 ლარი;
8. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარება - წლიური ბიუჯეტი 1000 ლარი. დაკმაყოფილდა 1 ბენეფიციარი, თანხით 1000 ლარი;
9. ვეტერანთა დახმარება - წლიური ბიუჯეტი 12 200 ლარი. დაკმაყოფილდა34 ბენეფიციარი, თანხით 12 200 ლარი.

10. მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება - წლიური ბიუჯეტი 18 600 ლარი. დაკმაყოფილდა 90 ბენეფიციარი, თანხით 18 600 ლარი.
11. სტუდენტთა დახმარება - წლიური ბიუჯეტი 37 500 ლარი. დაკმაყოფილდა75 ბენეფიციარი, თანხით 37 500 ლარი.
12. ძალადობის მსხვერპლთა დახმარება - წლიური ბიუჯეტი 900 ლარი. დაკმაყოფილდა 3 ბენეფიციარი, თანხით 900 ლარი.
13. ბინის ქირით უზრუნველყოფა - წლიური ბიუჯეტი - 10 400 ლარი. საანგარიშო პერიოდში ბინის ქირით დაფინანსება/თანადაფინანსება გაეწია 10 ოჯახს, გაიხარჯა 10380 ლარი.
14. სარიტუალო დახმარება - წლიური ბიუჯეტი 12 200 ლარი. დაკმაყოფილდა 41 ბენეფიციარი, თანხით 12 200 ლარი.
15. მარტოხელა მშობელთა დახმარება - წლიური ბიუჯეტი 6 500 ლარი. პროგრამით ისარგებლა 6 ბენეფიციარმა, გახარჯულია 6 500 ლარი.

სულ 2023 წელში დახმარება გაეწია 1 748 ბენეფიციარს, თანხით 826 906. 05 ლარი (წლიური ბიუჯეტის 99,57%).

ჯანდაცვა

ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 სამედიცინო დაწესებულება, მათ შორის 1 სტაციონარულ–პოლიკლინიკური გაერთიანება – ჯეოჰოსპიტალსი–ვანი“, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური – 112, შ.პ.ს. „ფარმაცია – ვანი“ – დიაგნოსტიკური ამბულატორიულ–პოლიკლინიკური ცენტრი და 17 ამბულატორია, (17 „სოფლის ექიმი“ და 18 „სოფლის ექთანი“).

აღნიშნულ დაწესებულებებში, ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მეშვეობით ხორციელდება შემდეგი სახელმწიფო პროგრამები:

1, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და განხორციელება;

2, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა – განხორციელება;

3, დავადების კონტროლის პირველადი ღონისძიებები;

4, დედათა და ბავშვთა სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების გატარება;

5. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლისათვის ნოზოკომური ინფექციების პრევენცია;

6, ადამიანებში ცოფის რისკის პრევენცია, ანტირაბიული დახმარების უზრუნველყოფა;

7, ტუბერკულოზით დაავადების ახალი შემთხვევების კვლევა, დაავადებულებთან კონტაქტირებულთა მოძიება და მათი პროფილაქტიკური გამოკვლევის ორგანიზება;

8, ყოველწლიური უწყებრივი სტატისტიკური ანგარიშის წარმოება და წარდგენა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში.

საანგარიშო ერიოდში ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2023 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენდა 123000,0 ლარს, ხარჯვითი ნაწილი კი 121218,0 ლარს.

წლის მანძილზე დაფიქსირდა 15 სახის ინფექციური დაავადების შემთხვევა.

რაც შეეხება ახალი ტიპის კორონავირუსს, მუნიციპალიტეტში ამავე პერიოდისათვის რეგისტრირებულია 441 დადასტურებული შემთხვევა.

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 8 სახის აცრა, აცრების მოცვის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი პროცენტით ხასიათდება.

საქმიანობა განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის N 609 დადგენილებით დამტკიცებულ 2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

კულტურა

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რამდენიმე კულტურული, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიება.

განსაკუთრებით აღინიშნა „ტიციანობა“, „გალაკტიონობა“, და „ვანელობა“.

საზეიმო ვითარებაში ჩატარდა სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული ღონისძიებები.

აღსანიშნავი ფაქტი იყო გ. ბზვანელის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგთა დაჯილდოება მიღწეული წარმატებებისა და მაღალი პროფესიონალიზმის ნიშნით.

აქტიურად იყო ჩაბმული თავის პროფესიულ საქმიანობაში ვანის სახალხო თეატრი, რომელმაც დმანისის სახელმწიფო თეატრთან ერთობლივი მუშაობით წარმოადგინა სპექტაკლი „ვალი“. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით პრემიერა გაიმართა ვანში, რომელსაც თავად მინისტრი ესწრებოდა. სპექტაკლით მონაწილეობა მიიღეს თეატრალურ ფესტივალში. მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის პრიზი გადაეცა გიგა ბუბუტეიშვილს.

ვანელი მაყურებლისათვის რუსთაველის ეროვნულმა თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „ძუნწი“. ასევე სტუდია „იცანის“ ორგანიზებით ნაჩვენები იქნა სპექტაკლი „გრიგოლ ფერაძე“. აქვე ჯაზბენდის „დიქსი ლენდმა“ მუსიკალური ნომრები შესთავაზა მაყურებელს. პროექტი განხორციელდა საპატრიარქოს ხელშეწყობით და მიეძღვნა უწმინდესის აყსაყდრების საიუბილეო თარიღს.

აღსანიშნავია ვანის სალოტბარო სკოლის მუშაობა. გუნდის წევრებმა საქართველოს ფოლკლორის ცენტრში გამართულ კონკურსში მიიღეს მონაწილეობა, ასევე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი ადგილზე ეწვია სალოტბარო სკოლას და გაეცნო მოსწავლეთა შემოქმედებას.

მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ახალ შენობაში განთავსება, რაც განსაკუთრებული ღონისძიებით აღინიშნა.

ჩატარდა რამდენიმე, როგორც კულტურული, ისე შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები:

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის მანანა ჯულაყიძის ლექცია თემაზე: „გამჭოლი კომპენტენციები და მისი წარმატებით გამოყენების მეთოდები“.

ლევან ლორთქიფანიძესთან შეხვედრა თემაზე: „ თომას მანი ომის მომხრე და მოწინააღმდეგე“.

აღსანიშნავია ქორეოგრაფიული ანსამბლის და საბალეტო სტუდიის მუშაობა.

საინტერესოდ ჩატარდა ინტელექტუალური თამაშები „რა, სად, როდის?!“, საჯარო სკოლების 22 გუნდის მონაწილეობით. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით.

რაც შეეხება სპორტულ ღონისძიებებს, ორგანიზებულად ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებები, მინი ფეხბურთის ტურნირი, ოლიმპიზმის

საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მასობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიებები, მერიის მხარდაჭერით „ნინო ხურციძის მემორიალი 2023“ ჭადრაკში.

ჩვენი მუნიციპალიტეტის მკვიდრმა 17 წლის ბეჟან ხურციძემ ვერცხლის მედალი და ვიცე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ევროპის ჩემპიონატში-ჭიდაობა სამბოში.

ტურიზმი

2023 წელში ვანის ტურიზმის ცენტრი განთავსდა ახალ, კეთილმოწყობილ შენობაში. სამუშაო პროცესის წარმატებული მართვისთვის, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად მოეწყო როგორც ეზო, შესასვლელები ასევე შენობის შიდა ინტერიერი. შეძენილი იქნა საოფისე ინვენტარი და სხვადასხვა სახის აუცილებელი ნივთები. ახალმა გარემომ დადებითად იმოქმედა ტურისტების ინტერესთა სფეროს გაღრმავებაზე.

საანგარიშო პერიოდში ვანის მუნიციპალიტეტში შემოვიდა 22 190 ტურისტი (მსყიდველუნარიანი), აქედან: უცხოელი - 4 575, შიდა 17 615 ტურისტი. ყველაზე მაღალი აქტივობა არქეოლოგიურ მუზეუმში დაფიქსირდა.

„ვანის ტურისტულმა ცენტრმა განახლებულ შენობაში 794 ტურისტს უმასპინძლა (უცხოელი - 252, შიდა 542).

აქტიური ტურისტული სეზონის დასრულების მიუხედავად, ტურისტთა შემოდინება მთელი წლის მანძილზე მაინც გრძელდებოდა, ხშირად მონახულებად ტურისტულ ობიექტებს სტუმრობდა ტურისტები უცხოური ქვეყნებიდან: - პოლონეთი, ჩეხეთი, გერმანია, ამერიკა, იტალია, ესპანეთი, თურქეთი, ჰოლანდია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, ავსტრალია, ირანი, ლატვია, ესტონეთი, ბულგარეთი, რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, ჩინეთი, საუდის არაბეთი აბუ-დაბი, პაკისტანი. შიდა ტურისტულ;ი მონაცემების მიხედვით კი ფიქსირდება თბილისი, ქუთაისი, კახეთი, გურია, აჭარა.

აღსანიშნავია, რომ აქტიურ ლოკაციად რჩება“დიხაშხოს გოგირდის გეიზერი“.

ტურიზმის განვითარებისათვის შესაბამისი სამსახურების სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია კულტურული ღონისძიებებსა და საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, რაც აღრმავებს მუნიციპალიტეტისადმი ცნობადობას, მისი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესს, კულტურული ტურიზმის განვითარებას.

საანგარიშო პერიოდში „ვანის ტურიზმის ცენტრმა“ მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:

ადგილობრივი სახალხო დღესასწაული „ვანელობა“, სადაც ორგანიზება გაუწია ვანის კრაფტ-ფესტს, „იმერული ღვინის გზის“- ფარგლებში მოაწყო ვანელი მეღვინეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და ფოტო-სესია.

ქალაქ ქუთაისში იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის ორგანიზებითა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელშეწყობით გაიმართა გასტრონომიული ფესტივალი „იმერული გემო- ფესტი“, სადაც ვანის სახელით მონაწილეობა მიიღო ზეინდრელმა მეწარმეებმა ელენე ბუხაიძემ და მისმა მეუღლემ ეიდენ რაფტერიკმა.

სახალხო დღესასწაული „გალაკტიონობა“, სადაც ორგანიზება გაუწია მხატვრული კითხვის ოსტატის მაკა შალიკაშვილის პერფორმანს - „მიყვარს ყველაფერი სადა, მიყვარს ყველაფერი ძველი“, რომელიც სამ ლოკაციაზე გაიმართა. დასრულდა ტურიზმის ცენტრის მისაღებ სივრცეში ადგილობრივი ღვინისა და გასტრონომიის დეგუსტაციით.

ადგილობრივი ღონისძიებების გამართვის პერიოდში ტურისტის მიერ წინასწარი ტურის დაგეგმვისათვის ხდება ინფორმაციის განთავსება იმერეთის კულტურული ღონისძიებების ერთიან კალენდარში.

ვანის მუნიციპალიტეტის სახელით სხვა დელეგაციებთან ერთად „ვანის ტურიზმის ცენტრმა“ მონაწილეობა მიიღო მადრიდში, ერთ-ერთ უდიდეს ტურისტულ გამოფენაში. შედეგად ვანს ესტუმრნენ ესპანელი, ფრანგი და იტალიელი ტურისტების ჯგუფები. თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.

საანგარიშო პერიოდში „ვანის ტურიზმის ცენტრის“ გუნდმა ორგანიზება გაუწია შემდეგ ინფო ტურებს და სამუშაო შეხვედრებს:

- მოეწყო განახლებულ შენობაში პირველი საქმიანი შეხვედრა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისა და იმერეთის რეგიონის წარმომადგენელთა მონაწილეობით;
- მოეწყო მორიგი საინფორმაციო შეხვედრა;
- უმასპინძლეს ტურისტული კომპანიების - „თრეველ გრუპის, „ენთეველი“ რეგიონალური ინიციატივების ცენტრის „ნათელი მომავლის“დამფუძნებელს და იმერელ გიდებს.
- ნ. ლილუაშვილმა მონაწილეობა მიიღო აგროტურიზმის თემაზე გამართულ ტრენინგსა და ბათუმში დაგეგმილ რეგიონალურ ფორუმში, რომელზეც განიხილავდნენ გენდერულ საკითხებს.

რაც შეეხება მასმედიასთან თანამშრომლობას საანგარიშო პერიოდში „ვანის ტურიზმის ცენტრის“ გუნდმა ითანამშრომლა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან,

გადაცემები: „ბიზნეს პარტნიორი“, „მოამბე-რეგიონები“, ტელეკომპანია რუსთავი-2, გადაცემა- „დილა მშვიდობისა საქართველო’. მომზადდა სიუჟეტები თემებზე: ვანის ტურისტული პოტენციალი განახლებული ინფრასტრუქტურის ფარგლებში, ვანის ღვინისა და გასტრონომიული ტურისტული პოტენციალი. სიუჟეტების ფარგლებში მრავალათასიან აუდიტორიას მიეწოდა ინფორმაცია. ყოველწლიურად იზრდება ინფო/მედია ტურების შედეგები.

2023 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნა რამდენიმე ფოტო სესია. მათ შორის: ვანის განახლებული ინფრასტრუქტურისა და „ვანის ღვინის გზის“ ფარგლებში;

ვანის ტურიზმის ცენტრის განახლებული შენობა; გ. ყიფიანის სახელობის განახლებული ტყე-პარკი; ქალაქის ცენტრში განთავსებული საქართველოს ეროვნული დროშა; „ვანელობა“; „რთველი- 2023“-ის ფარგლებში გია მხეიძისა და დავით ლომინაძის მარნები; „გალაკტიონობა-2023“ და „საახალწლო ვანი“(დღისა და ღამის კადრებით).

ზემოთ ჩამოთვლილი რეპორტაჟი თუ აქტივობა დიდ როლს თამაშობს ყოველ სეზონზე ფიქსირებული ლოკაციებისადმი ინტერესის ზრდაში და ტურისტული ნაკადების შემოდინებაში.

(„ვანის ტურიზმის ცენტრის 2023 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 82 000 ლარით, გახარჯულია 81 850 ლარი. ფინანსური ანგარიში მასალებს თან ახლავს).

საბავშვო ბაღები

ვანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი. მათი დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

2023 წლისათვის საბავშვო ბაღების გაერთიანების საშტატო განრიგი განისაზღვრა 329 თანამშრომლით. აღსაზრდელთა რაოდენობა კი 500 - ით.

2023 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 2, 594, 000 ლარს, 12 თვის ფაქტი კი 2, 593, 267 ლარს. (გეგმის შესრულების მაჩვენებელი 100%-ია).

194 აღსაზრდელებს, რომელთაც დაამთავრეს საბავშვო ბაღი,საჩუქრად გადაეცათ სასკოლო-საკანცელარიო ნივთების პაკეტი, ღირებულებით 4435, 30 ლარი.

ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები -დედის, დედამიწის და დამოუკიდებლობის დღეებისადმი მიძღვნილი.

2023 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დაიწყო სოფელ მუქედის საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა 1, 200, 000 ლარის ღირებულებით.

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანებაში“ შემავალ საბავშვო ბაღების უფროსებს, აღმზრდელებს, მეთოდისტებს და გაერთიანების დირექტორს ჩაუტარდათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული „ აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების 66 საათიანი ტრენინგ-მოდული“, რომლის ღირებულებამ შეადგინა 21,199,93 ლარი.

სასპორტო დაწესებულებები

გარკვეული მუშაობა გაწია ა(ა)იპ სასპორტო დაწესებულებების გაერთიანებამ. განსაკუთრებით იკვეთება აქტიურობა ჭადრაკში, სამბოში, ქართულ ჭიდაობასა და ფრენბურთში. სხვადასხვა დონის შეჯიბრებებსა და ღონისძიებებში წარმოჩინდა მათი აქტიურობა, შესაბამისად მწვრთნელების ძალისხმევა და ბრძოლა სასურველი შედეგებისადმი.

მნიშვნელოვანი ფაქტი იყო საჭადრაკო სკოლის შეკეთება. კერძოდ, - მოწესრიგდა სახურავი, ჭერი, კედლები, იატაკი, სველი წერტილები, გათბობისა და წყლის სისტემები.

საანგარიშო პერიოდში სასპორტო დაწესებულებების ბიუჯეტი შეადგენდა 313 000 ლარს, ხარჯი კი იყო 311 905 ლარი.

სულორი

ვანის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კლუბი „სულორი-ვანი“ მუნიციპალიტეტიდან დაფინანსებული იყო 276 000 ლარით. ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 120 000 ლარით და კატეგორიის წარმატებით გავლის შემდეგ კი დაფინანსდა 5 000 ლარით. მთავარი გუნდი თამაშობდა ლიგა-4-ის ჩემპიონატში დაიგივე ადგილი შეინარჩუნა. რაც შეეხება ბავშვთა ასაკობრივ ჯგუფებს 3 გუნდი თამაშობდა საშეჯიბრო თამაშებს, რომელთაც ვანის მუნიციპალიტეტი აფინანსებდა.

ვანის მუნიციპალიტეტის მიერ ცალკე ხარჯით, ანაზღაურებული იქნა სტადიონის ოფისის გადახურვა.

საფეხბურთო გუნდისგან ველოდებით უფრო მეტ წარმატებებს.

რაგბი

2022-2023 წელს რეგიონალური მეორე ლიგის მეორე წრის ჩემპიონატში მონაწილე 8 გუნდს შორის კლუბმა „აიეტმა“ მეოთხე ადგილი დაიკავა.(გუნდში ირიცხებოდა 38 მორაგბე).

რეგიონალური მეორე ლიგის პირველი წრის ჩემპიონატში მონაწილეობას ღებულობდა დასავლეთ საქართველოს 6 გუნდი, სადაც “აიეტმა“ დაიკავა მეხუთე ადგილი.(გუნდში ირიცხებოდა 35 მორაგბე).

სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების წვრთნა-მომზადება მიმდინარეობს ქალაქ ვანისა და შუამთის ადმინისტრაციულ ერთეულებში.. ისინი მონაწილეობენ რაგბის კავშირის ეგიდით ჩატარებულ ბავშვთა ასაკობრივ ფესტივალებზე.

ვანში აღზრდილი მორაგბეები წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა მნიშვნელოვან გუნდებში.

კლუბის „აიეტი“ ბიუჯეტი 2023 წელში შეადგენდა 208 000 ლარს, გახარჯული იქნა 207460 ლარი.

კლუბს შემოწირულობის სახით (5 000 ლარი) დაეხმარა ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ბიჭიკო პაიკიძე.

კომუნალური

ა(ა) ი.პ ვანის კომუნალური გაერთიანებას განსაზღვრული სამუშაოების შესასრულებლად 2023 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ჰქონდა 747389 ლარი. შეძენილი იქნა - სამეურნეო საქონელი; ტრანსპორტისათვის სათადარიგო ნაწილები; გარე-განათების მოვლა-პატრონობისათვის და სხვადასხვა სახის ელექტრო საქონელი; სპეცტანსაცმელი.

მატულობს იმ ნარჩენების რაოდენობა, რომლებიც ექვემდებარება გატანას, გარდა ამისა მოსახლეობას გამოაქვს ქუჩებში ისეთი ნარჩენებიც, რომელთა გატანის ვალდებულება სამსახურს არ გააჩნია, თუმცა სამუშაო მაინც სრულდება, რაც მოითხოვს დამატებით ხარჯებსა და შრომით რესურსებს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების ურნების მნიშვნელოვანი ნაწილი გამოვიდა მწყობრიდან და არ ექვემდებარება აღდგენას.

როგორც მთლიანად ქვეყანაში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში გასული წლიდან მოქმედებს შრომითი მოწყობისა და დასაქმების სახელმწიფო პროგრამა.

ამ პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანებისა და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ, ერთობლივად შედგა

შესასრულებელი საზოგადოებრივი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელის საფუძველზე შეირჩა და დასაქმდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისგან 465. გაფორმებული იქნა ყველა მათგანთან სოციალური ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია, როგორც დამსაქმებლის (ა(ა)იპ ვანის კომუნალური გაერთიანება) ,ასევე მოსარგებლის (დასაქმებული) უფლება- მოვალეობები.

დასაქმებულის მიერ შესრულებული საზოგადოებრივი სამუშაოს ანაზღაურება გაიცემა სოციალური გასაცემლის სახით და ის შეადგენს თვეში 300 ლარს.

დასაქმების პროგრამის მსვლელობაზე მუდმივი მონიტორინგი ხდება იმერეთის სამხარეო შესაბამისი სამსახურისა და შრომის ინსპექციის მიერ, რომლებიც ადგილზე ეცნობიან სამუშაოების შესრულების მიმდინარეობასა და შრომის პირობებს. შედეგების განხილვას ვახდენთ ერთობლივად.

სამხედრო

2023 წლის პირველ ეტაპზე, საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში აღრიცხვაზე იდგა 829 წვევამდელი. სამხედრო გადავადებით ისარგებლა 161-მა.

გაწვევას დაექვემდებარა 175 წვევამდელი, გეგმა-გრაფიკით კი გასაწვევი იყო 19. სხვადასხვა უწყებებში გაწვეული იქნა სულ 8 წვევამდელი.

მეორე ეტაპზე საშემოდგომო გაწვევის პერიოდში აღრიცხვაზე იდგა 895 წვევამდელი. დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს საშემოდგომო გაწვევა. ამ დროისათვის სამხედრო გადავადებით ისარგებლა 97 წვევამდელმა.

სამხედრო სამსახურის მიერ იანვრიდან აპრილის ჩათვლით მიმდინარეობდა 17 წლის მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა, რომელსაც ექვემდებარებოდა 134 მოქალაქე, აღრიცხვაზე კი აყვანილი იქნა 119.

აღრიცხვაზე დგას 4327 რეზერვისტი.

აუდიტი

2023 წელში შიდა აუდიტის სამსახურის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული იყო სამი **აუდიტორული შემოწმების** განხორციელება. კერძოდ:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერია- „ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ (პროგრამის კოდი 02 01)
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერია- „ სოციალური დაცვა“ (პროგრამის კოდი 06 02)
3. ა(ა)იპ საბავშვო ბაღების გაერთიანება

ასევე , ა(ა)იპ ვანის სახელოვნებო, საგანმანათლებლო და ტურიზმის განვითარების ცენტრზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების **მონიტორინგი**.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელში გეგმის შესაბამისად განხორციელდა ყველა აუდიტის ობიექტის აუდიტორული შემოწმება და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოვლენილ ყველა დარღვევა-ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, რომლის განხორციელება გააუმჯობესებს შიდა აუდიტის ობიექტის საქმიანობის ხარისხს და უზრუნველყოფს საქმიანობის შესაბამისობას მოქმედ კანონმდებლობასთან და შესაბამისად არსებული რისკების შემცირებას.

სამსახურის განვითარებისათვის, ეფექტური ფუნქციონირებისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის, საჭიროა თანამშრომლებისათვის ხშირი ინტენსივობით კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩატარება, აგრეთვე სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება, რათა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა უკეთ გაიგონ და გაითავისონ შიდა აუდიტი.